ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5867644

ნომერი: AR1888199

თარიღი : 23.03.2022

გაცემის თარიღი : 28.03.2022

გაცნობის თარიღი : 28.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხოშარაულის ქუჩა N30;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ივერი შელეგია პ/ნ 01025018304
- ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. 30

ორგანიზაცია:
- შპს ნიუ აუტო მოტორსი კოდი: 405078197

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 5 ოქტომბრის №5125667 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 23 მარტს №AR1888199 განცხადებით მომართა ივერი შელეგიამ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 5 ოქტომბრის №5125667 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 თებერვლის №2405611 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. №30-ში მდებარე №01.13.05.009.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსერვისის და სასაწყობე ბოქსების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2016 წლის 20 სექტემბრის №2833966, 2017 წლის 9 ივნისის №3313811, 2018 წლის 15 ივნისის №4018187, 2019 წლის 22 იანვრის №4341695, 2020 წლის 28 იანვრის №4833691 და 2020 წლის 5 ოქტომბრის №5125667 ბრძანებებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2016 წლის 17 თებერვლის №2405611 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 5 აპრილის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2020 წლის 5 ოქტომბრის №5125667 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ „2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2022 წლის 5 აპრილის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა „2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2020 წლის 5 მარტის ჩათვლით“.

სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 26 სექტემბრის №AR1776457 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 18 თვეზე და სამსახურის 2020 წლის 5 ოქტომბრის №5125667 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2022 წლის 5 აპრილის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 5 ოქტომბრის №5125667 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 5 ოქტომბრის №5125667 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 თებერვლის №2405611 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2022 წლის 5 აპრილის ჩათვლით."."

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 5 ოქტომბრის №5125667 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2016 წლის 17 თებერვლის №2405611, 2016 წლის 20 სექტემბრის №2833966, 2017 წლის 9 ივნისის №3313811, 2018 წლის 15 ივნისის №4018187, 2019 წლის 22 იანვრის №4341695, 2020 წლის 28 იანვრის №4833691 და 2020 წლის 5 ოქტომბრის №5125667 ბრძანებებთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.